ჩერქეზეთში რუსეთის იმპერიის სტრატეგიული მიზნების განხორციელება

მარიამ გურეშიძე
ილიას უნივერსიტეტის გ. წერეთლის
აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის
ასისტენტ მკვლევარი. საქართველო,
0162. თბილისი, გიორგი წერეთელის ქ. 3.
+995551 127 855. mariagureshidze@gmail.com
ORCID : 0000-0002-9825-0651

აბსტრაქტი

XIX საუკუნის განმავლობაში რუსეთის კოლონიური ექსპანსიის თემაზე ალბათ ყველაზე მეტი პუბლიკაცია კავკასიას და მის დაპყრობას ეძღვნება. ომის შესახებ წერდნენ მისი თანამედროვენი, მონაწილენი, ჟურნალისტები, სამხედრო საქმის სპეციალისტები, მწერლები, ისტორიკოსები და სხვა. პრობლემას დღემდე არ დაუკარგავს აქტუალობა და მისი კვლევა ახლაც ინტენსიურად წარმოებს (კავკასიის ისტორია, 2023:93).

ვ. ლაპინის თვალსაზრისით, ომი კავკასიის დაპყრობისთვის პეტრე პირველის კასპიისპირეთში ლაშქრობის დროიდან დაიწყო და 150 წელზე მეტ ხანს გაგრძელდა. რუსი სამხედრო ისტორიკოსის, გენერალ - მაიორ რ. ფადეევის თანახმად, ომი 1801 წელს დაიწყო, როდესაც რუსეთმა ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა და აღმოსავლეთ საქართველო მიიერთა. ამით სათავე დაედო კავკასიის სხვა ტერიტორიების დაპყრობას და იმპერიის

საზღვრების გაფართოებას. რევოლუციამდელი რუსი პუბლიცისტი, პოლკოვნიკი დ. რომანოვსკი, ასევე, საბჭოთა და თანამედროვე რუსი ისტორიკოსების ნაწილი (ი. გორდინი, მ. ბლიევი, ვ. დეგოევი, ნ. სლადკოვა და სხვ.) მიიჩნევს, რომ კავკასიური ომი 1817-1864 წლებში ა. ერმოლოვის მიერ გროზნოს ციხესიმაგრის დაარსებიდან ჩერქეზთა ორგანიზებული წინააღმდეგობის შეწყვეტამდე წარმოებდა. ეს თარიღი მეტ-ნაკლებად გასააზრებელია, რადგან საბრძოლო ოპერაციების პროცესი ჩრდილო კავკასიაში უმთავრესად ამ პერიოდით იფარგლება, რასაც შედეგად კავკასიის რუსეთის იმპერიაში ინკორპორაცია მოჰყვა (კავკასიის ისტორია, 2023:93-94). სტატიაში ყურადღებას ჩერქეზეთზე შევაჩერებთ.

საკვანძო სიტყვები: ჩრდილო კავკასია; ჩერქეზეთი; რუსეთის იმპერია; გადასახლება.

შესავალი

XIX საუკუნეში რუსეთის იმპერიის მიერ ჩრდილო კავკასიაში წარმოებული ომი (1817-1864 წწ.) განპირობებული იყო შემდეგი ფაქტორით: რუსეთი ჩრდილო კავკასიაზე გავლენის მოპოვების გარეშე კავკასიაში სრულად კონტროლს ვერ დაამყარებდა. კავკასია მთლიანად უნდა მოქცეულიყო ერთ სოციალურ-კულტურულ და ეკონომიკურ არეალში. რაც სტაბილურ ეკონომიკურ სარგებელს მოუტანდა რუსეთის იმპერიას. აბრეშუმის გზის კავკასიაზე გამავალი მონაკვეთის ხელში ჩაგდების პირველ ეტაპს წარმოადგენდა ქართლ-კახეთის სამეფოსთან დადებული ტრაქტატი (1783 წ.). როგორც ჩანს, პერსპექტივაში საიმპერატორო კარს ხსენებული გზის შენარჩუნებასთან ერთად მისი დაცვა და განვითარებაც ჰქონდა დაგეგმილი. ხშირი ურთიერთ მეტოქეობითა და ომებით აშლილ კავკასიაში სტაბილური სიტუაციის დამყარებას მისი გაძლიერება აღორძინება-განვითარებაც უნდა მოჰყოლოდა. ეს ყოველივე გავლენას მოახდენდა კავკასიის თხემის სამხრეთით მდებარე საქართველოზეც, რომე-

ლიც ევროპასა და აზიას შორის ვაჭრობის, კულტურის, დიპლომატიის, ეკონომიკური კავშირების განვითარებაში ჩაერთვებოდა (გურეშიძე, 2021:55). საქართველოს დაპყრობის შემდეგ კი ჩრდილო კავკასიაში ომი უკვე გარდაუვალ აუცილებლობად იქცა, რათა მთლიანად კავკასია, ერთიან პოლიტიკურ, სოციალურ - ეკონომიკურ და სტრატეგიულ სისტემაში მოქცეულიყო. სტატიაში ჩერქეზეთის მიმართ რუსეთის იმპერიის ინტერესებზე და ჩერქეზთა გადასახლებაზე ვამახვილებთ ყურადღებას.

მეთოდი

ნაშრომში ერთმანეთთან რამდენიმე ისტორიული მოვლენაა დაკავშირებული, რომელთა ანალიზის საფუძველზე, მთლიანი სურათი იქმნება. დამუშავებულ საარქივო დოკუმენტებზე დაყრდნობით, რიგი მეცნიერების გამოცემული კვლევების საშუალებით ანალიტიკური კვლევა წარმოვადგინე.

შედეგები

კავკასია მსოფლიოს ერთი იმ რეგიონივითაა, სადაც უძველესი დროიდან დღემდე მრავალი სახელმწიფოს ინტერესი იკვეთებოდა და იკვეთება. კავკასიაზე, როგორც აღმოსავლეთისა და დასავლეთის დამაკავშირებელ ხიდზე, კონტროლის დამყარება მეტოქე სახელმწიფოებზე მნიშვნელოვანი უპირატესობის მოპოვებას ნიშნავდა. ამის გამო ეს სივრცე მუდამ იყო ომების, კონფლიქტებისა და დაპირისპირების ასპარეზი. პერიფერიული მდებარეობა როგორც აღმოსავლური სამყაროს, ისე დასავლეთის მიმართ, კავკასიის ერთ-ერთი დომინანტური მახასიათებელია, პარალელურად იმისა, რომ იგი განსხვავებულ რელიგიათა, ცივილიზაციებისა თუ კულტურების საკონტაქტო ზონაცაა (კავკასიის ისტორია, 2023:15). პეტრე I სურვილი იყო, კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროს გასწვრივ, სპარსეთის სამფლობელოს გავლით, უშუალოდ ინდოეთთან ვაჭრობისთვის განკუთვნილი გზა გაეჭრა (Дубровин, 1866:6) აღნიშნულის განსახორციელებლად რუსეთის იმპერიას ჩერქეზეთის დაპყრობაც მოუწია.

ჩერქეზების თვითსახელწოდებაა ადიღე, უძველესი დროიდან ჩერქეზთა წინაპრები თავიანთ თავს ადიღეს უწოდებდნენ.

ჩერქეზები მუსლიმი სუნიტები არიან. ჩერქეზეთი დამოკიდებული არავისზე იყო და რამდენადაც მოსახერხებლად თვლიდა, იმდენად აღიარებდა ყირიმის ხანის მფარველობას; ასე იყო 1723 წელს, როდესაც ყირიმის ხანმა კაპლან-გირაიმ მოინდომა ყაბარდოს პროვინციის დავალდებულება რათა მას დადგენილზე მეტი მონები გაეგზავნა, ხალხმა სისხლისმღვრელი ბრძოლა გამართა და ერთიანად გაანადგურა თათრები (ბრძოლის ველზე 5000 დაეცა) ხანმა კი თავს გაქცევით ძლივს უშველა. ბრძოლამ ბევრი დიდგვაროვანი თათარი შეიწირა. დანარჩენ პროვინციებში ყაბარდომ მხარდაჭერა ვერ მოიპოვა, ამიტომ მიმართა მოსკოვის მეფეს და ბეიმ მძევლად საკუთარი ვაჟი გადასცა. ბეის ვაჟმა შემდგომში ქრისტიანობა მიიღო. ჩერქეზეთის დანარჩენი ოლქები ყაბარდოს დაუპირისპირდნენ და ყირიმის ხანს მიემხრნენ (Главани, Ксаверио, 1893:10-12). ჩერქეზეთისა და ცალკე აღებული მისი პროვინციების სარწმუნოება შერეული იყო: ისინი გამოყოფდნენ შაბათს, კვირას და პარასკევს. აღდგომას ქრისტიანებთან ზეიმობდნენ, ხოლო ბაირამის[38] დღესასწაულს თურქებთან ერთად. ქრისტიანებთან მარხვას არ იცავდნენ, თურქებთან ყოფნისას თურქობას ადასტურებდნენ; ასე იქცეოდნენ სხვა რელიგიებთან მიმართებაშიც (Главани, Ксаверио, 1893:17). აქედან გამომდინარე ვვარაუდობ, რომ ჩერქეზები თურქებს ანიჭებდნენ უპირატესობას/ან თურქებისგან განიცდიდნენ უფრო მეტ გავლენას. აღსანიშნავია, რომ XIV-XV სს-ში ჩერქეზები ქრისტიანებად ითვლებოდნენ. ქრისტიანობა X-XII საუკუნეებში ბიზანტიიდან და საქართველოდან გავრცელდა, მაგრამ დომინანტ რელიგიად ვერ იქცა. ქრისტიანობის განმტკიცებას ხელი ისლამმა შეუშალა, რომელმაც ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში XIV ს-ში დაიწყო შეღწევა. ისლამის ძლიერი გავლენის მიუხედავად, ჩერქეზებში ძველი წარმართული რწმენა-წარმოდგენებისა და

[38] ბაირამი, იდ ალ-ადჰა-[‘იდ ალ-ადჰა, სხვაგარად ‘იდ ალ-ქაბირ. ‘იდ ან-ნაჰრ. თურქ. ყურბან-ბაირამ]-მსხვერპლშეწირვის დღესასწაული, რომელიც თავისი მნიშვნელობით პირველია ისლამში. ენციკლოპედიური ცნობარი, *ისლამი.* თბილისი 1999. (გვ. 82)

ქრისტიანობის ნაკვალევი XX ს-მდე შემორჩა. XVIII ს-სა და XIX ს-ში კი ზოგიერთი ჩერქეზული ტომი ჯვარს ეთაყვანებოდა (თოფჩიშვილი, 2007:52). რაც შეეხება ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობას, ასეთია: ქართულ-ადიღური თანამშრომლობა XVIII-XIX საუკუნეთა მიჯნამდე ანუ ქართლ-კახეთის სამეფოს არსებობის უკანასკნელ პერიოდამდე გრძელდებოდა. ერეკლე II -ის შთამომავლობას ადიღი თავადები დიდი პატივისცემით ეპყრობოდნენ. მათ ახლო მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ ქართლ-კახეთის უკანასკნელ მეფესთან, ჩერქეზი თავადის ყოფილ სასიძოსთან, გიორგი XII-სთან (ჯავახიშვილი, 2005: 156). XIX საუკუნის I ნახევარში ყარაჩაი-ჩერქეზეთი რუსეთს შეუერთდა. 1868 წელს გაუქმდა ბატონყმობა (ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, 1986:629). ტერიტორია, რომელიც დღეს ჩერქეზეთის სახელწოდებითაა ცნობილი, ადიღელთა წინაპრების მიერ ჯერ კიდევ V-VII სს-ში იყო დასახლებული. დღევანდელ ჩერქეზეთში, მდ. ყუბანის დაბლობში, ადიღელთა და ბესლანელთა მიგრაცია XII-XIII სს-ში მოხდა. XIX ს-ში, მეფის რუსეთის კოლონიური პოლიტიკის გამო, ყაბარდოელები ჩერქეზეთში მასობრივად გადასახლდნენ. მათი ეს მიგრაცია 1825 წელს შეწყდა. ამ დროისთვის ჩერქეზეთის ტერიტორიაზე ყაბარდოელებს უკვე 62 აული ჰქონდათ დაფუძნებული (თოფჩიშვილი, 2007:51). ჩერქეზები თვლიდნენ, რომ მათი ოლქები ყირიმში გენუელების ბატონობის დროიდან არსებობდნენ. ზოგიერთი გვარი ფრანკულ სახელებს ატარებდა. არსებობს მოსაზრება, რომ ჩერქეზული ენა დაზიანებულ იტალიურს ჰგავდა. მათი ყველა ჩვეულება ახლოს იყო ფრანკულთან. ქვეყანაში იყო რამდენიმე ეკლესია გაურკვეველი წარწერით. ძველთაძველ საფლავებზე გამოსახულია ჯვრები და მათ ლათინურ ჯვარს ამსგავსებენ (Главани, Ксаверио, 1893:14).

ყირიმის ომის (1853-56 წწ.) დამთავრების შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ ჩრილო კავკასიაზე შეტევა გააძლიერა. სამხედრო ქმედებების სწრაფი დასრულებისათვის და დაუმორჩილებელი მთიელების „დასაშოშმინებლად“ სხვადასხვა გეგმები

მუშავდებოდა. ამ გეგმების არსი შემდეგში მდგომარეობდა, დასავლეთ ჩერქეზეთში მცხოვრები ჩერქეზების შავიზღვისპირეთის მთებიდან განდევნა, მთისწინეთიდან ყუბანში, დონზე ან ოსმალეთის იმპერიაში. ამის დასტურია კავკასიის არმიის მთავარი შტაბის უფროსის გენერალ დ. ა. მილიუტინის წერილობითი მოხსენება (ასაბუთებს ჩერქეზების გადასახლებას დონზე) და კავკასიის ხაზის მარჯვენა ფლანგისა და შავი ზღვისპირეთის ჯარების მეთაურის გენერალი ნ. ი. ევდოკიმოვის დასაბუთებული მტკიცება (ჩერქეზების თურქეთში გადასახლებასთან დაკავშირებით). 1858 წლის დასასრულიდან რუსეთისა და თურქეთის ხელისუფალთა დიპლომატიური მიმოწერა წარმოადგენდა ჩერქეზეთის დასავლეთ ნაწილში მცხოვრები ჩერქეზების გადასახლების საკითხს. ჩერქეზეთის ტერიტორიის შავი ზღვის პირა ნაწილი იყო ერთ-ერთი მთავარი ტერიტორია საიდანაც, რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ საბრძოლველად, თურქეთიდან ჩერქეზების მომარაგება სამხედრო აღჭურვილობით, საბრძოლო მასალებით, ემისრებით, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო საგნებით და ა.შ. ხდებოდა, ასევე საქართველოში, როგორც აფხაზეთში და სხვა რეგიონებში თარეშისა და გატაცებული ადამიანების მონებად გაყიდვისათვის. ვფიქრობ, რომ ჩერქეზეთის შავი ზღვისპირეთის ტერიტორია თავისი სტრატეგიული მნიშვნელობის გამო შეიძლება რუსეთის წინააღმდეგ ომის დროს სხვა სახელმწიფოების პლაცდარმი გამხდარიყო. ამის დასტურია მეფის არმიის გენერლის (სამხედრო ისტორიკოსის) რ. ა. ფადეევის მოსაზრება: „აღმოსავლეთ და დასავლეთ კავკასიას შორის არსებობს ის ძირეული განსხვავება, რომ ჩერქეზები შავი ზღვისპირეთში არსებული თავიანთი სტრატეგიული მდებარეობით ვერანაირად იქნებოდნენ რუსეთთან მყარად მიმაგრებული. მშვიდობიან პერიოდში ყუბანს იქეთ მცხოვრებთა დამორჩილება რუსულ მმართველობაზე ხანგრძლივ, სისხლიან და ძვირადღირებულ ომს ითხოვდა. მიუხედავად ამისა ომის დაწყებისთანავე ისინი გამოვიდოდნენ რუსეთის წინააღმდეგ, ყუბანის 10 ოლქი გადაიქცეოდა ღია კარებად კავკასიის გულში მტრის შესაღწევად“

(https://www.adygi.ru/index.php?newsid=12763 06.04.2020) ეს მოსაზრება ქვემოთ მოყვანილი საარქივო დოკუმენტებით მყარდება.

ჩერქეზებს თავიანთი ცხოვრების წეს-ჩვეულებების შენარჩუნებისა და დაცვისათვის სრული თავისუფლება და დამოუკიდებლობა სურდათ. შედეგად რუსეთის იმპერიის ექსპანსიას დაუპირისპირდნენ, რაც ინგლისმა და ოსმალეთმა გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე გამოიყენეს. შინაგან საქმეთა სამინისტროს დოკუმენტურ საარქივო მასალებში წარმოდგენილია: კერძოდ, 1829 წლის 12 ივნისს ჩერქეზეთის ნაპირებთან დაიჭირეს ტრაპიზონიდან მიმავალი თურქულ-ბერძნული ერთ ანძიანი გემი, რომელიც დატვირთული იყო: მარილით, რკინით, სპილენძის ქვაბებით, სხვადასხვა უბრალო თურქული ქაღალდის საქონელით და სამხედრო დანიშნულების ჭურვებით. დენთით სავსე 5 მომცრო კასრით და ორი თიხის ჭურჭელით, სამასი 6 ფუნტიანი კალიბრის ჭურვით და ორი ფუთი საბრძოლო ტყვიით; გემზე იმყოფებოდა 11 კაციანი ეკიპაჟი. დაკავებულებმა განაცხადეს, რომ ტრაპიზონში მზადდებოდა კიდევ ერთი თურქული გემი არიფ-რეიზინის მეთაურობით მთიელი ხალხისთვის საბრძოლო/სამხედრო ჭურვების მისაწოდებლად (Архивное управление Мвд грузинской сср, 1953:26:27). ასევე საგულისხმოა რაპორტი, რომლის თანახმადაც 1831 წელს, თურქი მუსტაფა ქაშნილაქ ოღლუს განცხადებით კონსტანტინოპოლიდან შესულმა ორ ანძიანმა გემმა სუნჯუკალესა და გელენჯიკს შორის მდებარე უალ დაბა-ში ჩატვირთა საკმაო რაოდენობის დენთი, ტყვია და რკინა. რუსეთის გენერალიტეტი თვლიდა, რომ მთიელი ხალხის ნაპირებთან გემების ამგვარი სახის შესვლის დაშვება გარდაუვლად წარმოქმნიდა ადამიანებით ვაჭრობას, რაც სავსებით ეწინააღმდეგებოდა მათ სახელმწიფო ნებას (Архивное управление Мвд грузинской сср, 1953:26-27). საინტერესოა ცნობა ინგლისელი აგენტების ჩერქეზებთან კავშირის შესახებ (1834 წ.). საარქივო დოკუმენტებში აღნიშნულია, რომ გემით მგზავრობდა ორი ინგლისელი და მათი თანმხლები თურქული ენის თარჯიმანი, რომლებიც ჩერქეზი ვაჭრის ალი-შაბადზას სახლში ადგილობ-

რივ დიდგვაროვნებს შეხვდნენ. მათ ცნობილი მოღალატის საფარ-ბეის მოკითხვა და შეტყობინება გადასცეს, რომ ერთი თვის შემდეგ იგი ჩერქეზებს შეხვდებოდა. შემდეგ ინგლისელები ამ დიდგვაროვნებთან ერთად ანაპიტად 40 ვერსზე მდებარე ასტაგაიში გაემგზავრნენ; სადაც მათ 150-მდე ნატუხაელი დახვდათ“ (Архивное управление Мвд грузинской сср, 1953:49-50). ბარონ როზენის შეტყობინებაში, რომელიც სახელმწიფო ვიცე-კანცლერს ნისელროდეს გაეგზავნა, აღნიშნულია, საფარ-ბეისა და მისი ინგლისელი-თურქი უფროსების რუსეთის საწინააღმდეგო მცდელობების შესახებ, კერძოდ საფარ-ბეი აგზავნიდა წერილებს და მოწოდებებს მთიელი ხალხის ასაბუნტებლად. ამასთან არწმუნებდა მათ, რომ ეგვიპტის ფაშა, სულთანი, ინგლისი და საფრანგეთი მათ დასახმარებლად ჯარებს გააგზავნიდა. საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი შეტყობინებებიდან ერთ-ერთში აღნიშნულია შემდეგი ფაქტი: „ტრაპიზონიდან წასული ორი მოგზაურის (იტალიელი და ინგლისელი) მიზანია რუსეთის იმპერიის საზღვრების დაზვერვა და მთიელ ხალხთან შეღწევა“ (Архивное управление Мвд грузинской сср, 1953:84). ასევე საგულისხმოა საფრანგეთის კონსულების მიერ საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი შეტყობინებები, რაც კიდევ უფრო კონკრეტულ სურათს წარმოგვიდგენს ზემოთ განხილულ ფაქტებთან დაკავშირებით. კერძოდ, შეტყობინებაში აღნიშნულია, რომ რუსებმა შეძლეს საკმაოდ დიდი გზის გაყვანა. მასშტაბური მანევრი, რის შედეგადაც უნდა მომხდარიყო ჩერქეზებთან დაჯგუფება, რომელსაც ყაბარდოს ნაწილი მიუერთდებოდა (Мамуля, 2022:284-285). საიდუმლო რაპორტიდან (1837 წ.) შემდეგი ფაქტი ვლინდება: შავი ზღვის ფლოტისა და პორტების ვიცე ადმირალის ლაზარევის საიდუმლო ბრძანების თანახმად, ინგლისური შხუნები და განსაკუთრებით შხუნა Wizard-ი (შკიპერი Lovey) არ უნდა დაეშვათ, რომ მთიელებთან სავაჭრო ურთიერთობის საწარმოებლად მიცურებულიყვნენ. ამავე დროს ვიღაც ინგლისელმა ურკვატმა ჩერქეზებისათვის დროშა დაამზადა, რომელიც, კონსტანტინოპოლში მათ-

თვის საერთო აჯანყების დროს გამოსაყენებლად უნდა გადაეცათ (управление Мвд грузинской сср, 1953: 107). აღსანიშნავია, რომ ინგლისს არასოდეს დაუკარგავს ჩრდილო კავკასიაზე ინტერესი და 1918 წელსაც ჰქონდა გათვლები. კერძოდ, 1918 წლის ნოემბერში მთიელთა რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი ჰაიდარ ბამატი ნოემბერში შვეიცარიაში ჩავიდა და ინგლის-საფრანგეთის მხარდაჭერის მისაღებად დიპლომატიური მოღვაწეობა დაიწყო (ბაციკაძე, 2024:223).

კავკასიაში რუსეთის უმაღლესი მეთაურების თათბირზე (ვლადიკავკაზი 1860 წლის 3 ოქტომბერი) დასავლეთ ნაწილში მცხოვრებ ჩერქეზებთან ბრძოლის ახალი გეგმა მიიღეს. გეგმის არსი მთებში სამხედრო ლაშქრობებზე უარის თქმა იყო და ჩერქეზების მთებიდან დაბლობში, შემდგომ კი ოსმალეთის იმპერიაში განდევნა. გამოთავისუფლებელ მიწებზე კაზაკების დასახლება. აღნიშნული გეგმის ავტორი გენერალი ნ. ი. ევდოკიმოვი ვალდებულებას იღებდა, რომ გეგმას 2-3 წელიწადში განახორციელებდა. ამ გეგმის თანახმად, ჩერქეზებს, რომლებიც მეფის ხელისუფლებას დაემორჩილებოდნენ უფლება ეძლეოდათ ყუბანის მახლობლად დასახლებულიყვნენ (https://www.adygi.ru/index.php?newsid=12763 2020 16:15). 1861 წლის 11 სექტემბერს აბძახებთან შეხვედრისას რუსეთის იმპერატორის შემდეგი სიტყვები გავიხსენოთ: *„მე თქვენთან ჩამოვედი არა როგორც მტერი, არამედ როგორც კეთილი მეგობარი. მე მინდა, რომ თქვენი ხალხები შენარჩუნდნენ, რომ მათ არ დატოვონ მშობლიური ადგილები, რომ ისინი თანახმა იყვნენ, იცხოვრონ ჩვენთან მშვიდობიანად და მეგობრულად. რუსეთი დიდი სახელმწიფოა, რომლის წინაშეც დგას დიდი ისტორიული ამოცანები. ჩვენთვის აუცილებელია გავამაგროთ ჩვენი საზღვრები, შემოვიერთოთ ზღვები სხვა ქვეყნებთან გასასვლელად. ჩვენი ვაჭრობა სხვა ქვეყნებთან ზღვებით უნდა განხორციელდეს ... ამიტომ ჩვენ არ შეგვიძლია ყოფნა შავი ზღვის გარეშე. გთავაზობთ, მოგვცეთ თანხმობა შავი ზღვისაკენ თქვენ მიწებზე გავიყვანოთ სამი გზა: ანაპისკენ, ნოვოროსიისკენ და ტუაფსისკენ. ჩემი ხაზინა ანაზ-*

ღაურებას გადაუხდის იმ აულებს, რომლებსაც მოუწევთ გადასახლება გზის გასაყვანი ტერიტორიებიდან. თქვენ უნდა აღიაროთ რუსეთის მეფის ქვეშევრდომობა, ეს არ წაგართმევთ თქვენ ეროვნულ თვითმყოფადობას: იცხოვრებთ და განახორციელებთ მართვას თქვენი ადათ-წესებით, ხელშეუხებელი დარჩება თქვენი რელიგია, არავინ ჩაერევა თქვენს საშინაო საქმეებში. ადმინისტრაცია და სასამართლო იქნება თქვენ მიერ არჩეული ადამიანებისგან. თქვენ ბევრი ათეული წელი მამაცურად იბრძვით, მაგრამ თქვენი საუკეთესო ადამიანები იღუპებიან და თქვენ ვერ შეინარჩუნებთ დამოუკიდებლობას იმიტომ, რომ ჩემი არმია დიდი და ძლიერია. ნათლად ჩანს დასასრული: კავკასია რუსეთის იქნება. არ არსებობს არავითარი გონიერი საფუძველი ხალხის შემდგომი დაღუპვისა. თუ თქვენ შეწყვეტთ დამღუპველ ომს, თქვენი ხალხი შენარჩუნდება და ის უკეთესად იცხოვრებს. რუსეთის სახელმწიფო თქვენ დაგიცავთ მტრებისგან და გაატარებს თქვენს ინტერესებს, მოშუშდება ჭრილობები, განელდება მტრობა და დაგვავიწყდება გულისწყრომა. ნახევარი საუკუნის შემდეგ თქვენ იცხოვრებთ სახელმწიფოებრივი ცხოვრებით და სამართლიანი კანონებით...“(კვიციანი, 2015:41-42). 1861 წლის 18 სექტემბრს მოხდა ისტორიული შეხვედრა ჩერქეზეთის დეპუტაციასა და რუსეთის იმპერატორ ალექსანდრე II შორის. დეპუტაციის თხოვნა იყო: შეწყვეტილიყო სამხედრო მოქმედებები, აულების განადგურება და კაზაკების ჩასახლება. იმპერატორის კატეგორიული პასუხი იყო: „გადასახლება ან წინასწარ მითითებულ ადგილზე ან/და თურქეთში.“ ამის შემდეგ მეფის რუსეთის მხრიდან ჩერქეზების ყველა თხოვნაზე უარყოფითი პასუხები იგზავნებოდა (https://www.adygi.ru/index.php?newsid=12763 2020 16:30). რუსეთის ინტერესების პარალელურად ოსმალეთის იმპერიის ხელისუფლებაც დაინტერესებული იყო ჩერქეზების გადასახლებით, რათა გადასახლებულებით შეევსო თავისი დაუკომპლექტებელი სამხედრო ძალები. ამით აემაღლებინა იმპერიის ბძოლისუნარიანობა. ამ მიზნით ომსმალეთიდან წარგზავნილმა ემისრებმა სააგიტაციო კაპმანია გაშალეს. სულთნის

სახელით პროკლამაციები ვრცელდებოდა, სადაც ჩერქეზებს დემაგოგიურად არწმუნებდნენ, რომ მათთვის გამოყოფილ საუკეთესო მიწებზე სახლები იყო აშენებული. ვინაიდან კავკასიაზე გამავალი სახმელეთო გზით აკრძალული იყო რუსეთის ხელისუფლების მიერ ჩერქეზების გადასახლება, ამიტომ ძირითადად რუსული და ოსმალური გემებით ხდებოდა მათი გადაყვანა.

გადასახლებას ჩერქეზი ხალხისთვის უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია. გადასახლებისათვის, ზღვისპირეთში თავმოყრილი ჩერქეზებიდან ბევრი დაიღუპა, ზამთრის სიცივეების, შიმშილობის და ინფექციური დაავადებების (ტიფი და შავი ჭირი) შედეგად (1863-64 წლები). ხოლო ნაწილი გზაში დაიხოცა. თურქ გემთფლობელებს მაქსიმალური მოგების მიზნით 50-60 ადამიანზე გათვლილ გემზე 200-300 ადამიანი აჰყავდათ. ამის შედეგი იყო პროდუქტების უკმარისობა და სივიწროვე. ბევრი ბარკასი შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ცუდი ამინდებისა და გადატვირთულობის გამო იძირებოდა. ადგილი ჰქონდა კრიმინალურ ქმედებებსაც: გადასახლებულებს სვამდნენ ჩაძირვისათვის განწირულ ძირგავარდნილ ბარკასებში (https://www.adygi.ru/index.php?newsid=12763 2020 17:17). 1864 წელს მეფის რუსეთის ხელისუფლებამ მთლიანობაში დაასრულა ჩერქეზეთის დასავლეთში მცხოვრები ჩერქეზების გადასახლება. ოსმალეთის ხელისუფლების დავალებით, ჩინოვნიკი სალაჰედინ-ბეი აწარმოებდა ჩერქეზების გადასახლებასთან დაკავშირებული სტატისტიკური მონაცემების შეგროვებას. მისი ინფორმაციით 1867 წელს ოსმალეთის იმპერიის ტერიტორიაზე 595 ათასი ჩერქეზი იმყოფებოდა. 1863-64 წლებში ჩატარებული გადასახლების პერიოდში დაღუპულ ჩერქეზთა რიცხვი დაახლოებით 100 ათასზე მეტი ჩინოვნიკის ინფორმაციაში არ მოიხსენიება (https://www.adygi.ru/index.php?newsid=12763 2020 20:56).

დასკვნა

2006 წელს ევროპარლამენტს მიმართა ჩერქეზთა ჯგუფმა, მეცხრამეტე საუკუნეში მიმდინარე ომის დროს ჩერქეზების გენოციდის აღიარების მოთხოვნით. ასევე ამგვარი თხოვნით მიმ-

ართეს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს, ვინაიდან 2005 წელს რუსეთის ფედერაციის სახელმწიფო დუმამ უარი განაცხადა გენოციდის აღიარებაზე. აღსანიშნავია, რომ 1994 წლიდან ყარაჩაი-ჩერქეზეთში დაწესებულია კავკასიის ომის მხვერპლთა დღე, რომელიც ყოველი წლის 21 მაისს აღინიშნება. ხოლო 2011 წლის 20 მაისს საქართველოს პარლამენტმა ჩერქ-ეზების გენოციდის აღიარებასთან დაკავშირებით რეზოლუცია მიიღო (https://lenta.ru/news/2011/05/20/cherkesy/ 2020 21:03). საქ-ართველოს პარლამენტის ამ ნაბიჯს წინ უძღვოდა შემდეგი მოვ-ლენა: 2010 წლის 20-21 მარტს ილიას სახელმწიფო უნივერსი-ტეტში გაიმართა ჩრდილო კავკასიის ხალხებისადმი მიძღვნილი კონფერენცია, რომელშიც მონაწილეობა სხვადასხვა დელეგატე-ბმა მიიღეს და მათ შორის ამერიკის Jamestown Foundation ფონ-დიდან (https://lenta.ru/news/2010/03/22/ask/ 2020 21:10). მიმაჩნია, რომ საქართველოს პარლამენტის მიღებული აღიარება არის გონ-ივრული ნაბიჯი იორდანიაში არსებული ჩერქეზული დიასპო-რის კეთილგანწყობის მოსაპოვებლად აფხაზური ლობის საპირ-წონედ. ამას გარდა ისტორიული ფაქტია, რომ საქართველო ხელს უწყობდა მთიელების დამოუკიდებლობას, კერძოდ 1918 წლის 11 მაისის მთიელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობის დეკლარაციაში ჩაიწერა, რომ სამხრეთ საზღვარი ამიერკავკასიის მთავრობასთან შეთანხმებით განისაზღვრებოდა. რთული გასა-გები არავისთვის იყო, რომ მთიელთა დამოუკიდებლობა და საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობები ერთმანეთთან იყო გადაჯაჭვული (ბაციკაძე, 2024: 222).

გამოყენებული ლიტერატურა:

ბაციკაძე, გიორგი. (2024). *საქართველოს დემოკრატიული რესპუ-ბლიკის აღმოსავლური პოლიტიკა: ურთიერთობა ჩრდი-ლოეთ კავკასიასთან (1918-1921).* აღმოსავლეთმცოდნეო-ბის მაცნე. ტომი 7. ნომერი 2. https://hos.openjournals.ge/index.php/hos/article/ view/8276.

გურეშიძე, მარიამი. (2021). *მეფე ერეკლე II და მისი შიდა პოლიტიკა.* თბილისი.

თოფჩიშვილი, როლანდ. (2007). *კავკასიის ხალხთა ეთნოგრაფია.* თბილისი.

კავკასიის ისტორია.(2023). ტომი II., თბილისი.

კვიციანი, ჯონი.(2015). *ადიღები (ჩერქეზები) XVIII-XIX საუკუნეებში.* თბილისი.

ჯავახიშვილი, ნიკო. (2005). *ნარკვევები ქართველი და ადიღელი ხალხების ურთიერთობის ისტორიიდან.* თბილისი.

Архивное управление Мвд грузинской сср. (1953). шамилъ-ставленник султанской турции и Английских колонизаторов. сборник документальных материалов. Тбилиси.

Мамуля, Георгий.(2022). Имам Шамиль и национально-освободительная борьба горцев северо-восточного Кавказа в сообщениях французских консулов из Тифлиса.

Главани, Ксаверио, Описание Черкессии. 1729 г. / Ксаверио Главани; пер. и примеч. Е. Г. Вейденбаума. - Тифлис, 1893.

Дубровин, Николай., Закавказье от 1803-1806 года. Санктпетербург 1866.

ენციკლოპედიური ცნობარი.(1999). ისლამი. თბილისი.

ქართული საბჭოთა ენციკლოპედია.(1986). ტომი 10. თბილისი.

https://www.adygi.ru/index.php?newsid=12763

https://lenta.ru/news/2011/05/20/cherkesy/.